კვირა. 1917 წ. ქრისტეშობისთვის 24 (6) № 281

წელიწადი მესამე

კვირა. 1917 წ. ქრისტეშობისთვის 24 (6) № 281

ფასი 15 კაპ.

# საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კონტორა

გაზეთის ფასი პირველ გიორგობისთვიდან წლის დამლევამდე 6 მან. ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) 3 მან. (ცალკე № 15 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოეულ ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1. მანეთი ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს $1\frac{1}{2}$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

## დღეს:

### ცნობები:

ბოლშევიკებმა დეკრეტით უძრავ ქონების გაყიდვა აკრძალეს.—პეტროგრადში გერმანულ ბანკის განყოფილების გახსნას აპირებენ.—ავქსენტიევი შეიპყრეს.—კარტაშევი გაანთავისუფლეს.—დამფუძნებელ კრების გახსნას ქრისტეშობისთვის 26-სათვის ელიან.—გერმანეთის კანცლერს განუცხადებია: ვილჰელმისგან საზავო მანდატი მაქვს ბოძებულიო.—ბოლშევიკები პიატიგორსკისაკენ წამოსულან.

ინგუშებმა დარიალის ხეობა დაიჭირეს.—ბორჩალოს მაზრის სოფელი სიონი გადამიჯვნის წინააღმდეგია.

### წერილები:

**გრიგოლ ვეშაპელი.** შობას.

**გრიგოლ რობაქიძე.** პანი.
**გ. ლეონიძე.** ქორე როდენბახი.
**ინ-ბანი.** სხიოლასათვის (დრამატიული ეტიუდი, 3 სურათად.

**დუტუ მეგრელი.** კიტა აბაშიძის სხოვნას.
**კორესპონდენცია.** თელავიდან, რაჭიდან.

---

ქიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭო მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას საბჭოს თავმჯდომარის

**კიტა (ივანე)**

**აბაშიძეს**

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე მიცვალებულის ბინაზე (ნიკოლოზის ქუჩა 66).

მიცვალებულს გამოასვენებენ სიონის კათედრალურ ტაძარში შაბათს ქრისტეშობისთვის 23-ს დღის ორ საათზე. ანდერძის აგება კვირას, ქრისტეშობისთვის 24-ს. დასაფლავება დიდუბის ეკლესიის გალავანში, ქართველ მწერალთა პანთეონში. (5—861—4)

---

გულდათუთქული უბედური დედა სოფიო დავით გურიელის ასული აბაშიძისა, და ეკატერინე გიორგის ასული ერისთავისა და ნიკო ყარამანის ძე თავდგირიძე აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებსა და ნაცნობებს

**კიტას**

გარდაცვალებას. 1—917—1

---

თეკლე აბაშიძისა შვილებითურთ და თამარ ორბელიანისა აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებსა და ნაცნობებს

**კიტას**

გარდაცვალებას. ანდერძის აგება 24 დეკემბერს, სიონის ტაძარში; დასაფლავება დიდუბეში, ქართ. მწერალთა საძვალეში. 1—917—1)

---

ნინო ნიკოლოზის ასული ორბელიანისა, ანასტასია ნიკოლოზის ასული ჯავახიშვილისა და ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებსა და ნაცნობებს საყვარელ

**კიტას**

გარდაცვალებას. 1—918—1

---

## მიიღება ხელის მოწერა
## ეროვნულ-დემოკრატიულ
## ყოველ-დღიურ გაზეთ
## „საქართველო“-ზე

1918 წ. წელ. მეოთხე

გრიგოლ ვეშაპელის რედაქტორობით

სარედაქციო კოლეგია: ამირეჯიბი შალვა, ასათიანი ალექსანდრე, ინგილო რაფაელ, კასრაძე დავით, კედია სპირიდონ, ტაბიძე ტიტე, ქიქოძე გერონტი, ჯაფარიძე ლელი.

### გაზეთში უახლოეს თანამშრომლობას ეწევიან

აბესაძე ავქსენტი
აბულაძე იუსტინე
გაბაშვილისა ეკატერინე
გაბაშვილი რევაზ
განდეგილი
გორგაძე სერგი
გორდეზიანი გიორგი
გუნია ვალერიან
დადიანი შალვა
ვართაგავა იპოლიტე
ვაჩნაძე დავით
თაყაიშვილი ექვთიმე
იაშვილი პაოლო
ინ-ბანი
ინგოროყვა პავლე
დიკ. კეკელიძე კორნელი
ლეონიძე გ.
ლორთქიფანიძე იასონ
ლორთქიფანიძე ნიკო
მარგველაშვილი ტიტე
მაყაშვილი კოტე
მაჭავარიანი იოსებ
დუტუ მეგრელი
ნიკოლაძე ნიკო
პოლიჩინელი
რობაქიძე გრიგოლ
ქარუმიძე შალვა
ქვარიანი სვიმონ
ყიფიანისა ნინო
ყიფშიძე გრიგოლ
პრ. ცაგარელი ალ.
წერეთელი ვასილ
ჭიჭინაძე ზაქარია
ჯანაშვილი მოს.

გაზეთს ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები საქართველოს ყველა ცენტრებში და პროვინციაში.

საგანგებო დეპეშები პეტროგრადიდან, მოსკოვიდან და უცხოეთიდან

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით | 1 თვით |
|---|---|---|---|---|
| გაზეთის ფასი | 50 მან. | 27 მან. | 13 მ. 50 კ. | 4 მ. 50 კ. |

ცალკე ნომერი 20 კაპ.

ერთის თვით გაზეთის დაკვეთა შეიძლება მხოლოთ თბილისში

ფოსტით გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით: Тифлисъ, контора газ. „САКАРТВЕЛО“, почт. ящ. 76.

კონტორაში ხელის მოწერა მიიღება დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი: 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით.
მისამართი: სასახლის ქ. № 5, ქართული ქარვასლა. 15—73 ტელეფონი.

---

ალექსანდრე ივანეს ძე და მარიამ ვახტანგის ასული ორბელიანნი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებსა და ნაცნობებს უძვირფასესი ძმისა და მეგობრის

**კიტას**

გარდაცვალებას. 1—917—1

---

თედორ ამბაკოს ძე და ნინო ბესარიონის ასული მახარაძეები შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობრებს, რომ ქრისტეშობისთვის 28-ს, დილის 10 საათზე, დ. [illegible] ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მარად დაუვიწყარი [illegible] შვილის, მეორეთა დის

**მაროს**

ქალის მოსახსენებლად. (1—923—1)

---

## თბილისის ქალაქის გამგეობა
### ამით აცხადებს, რომ

1) თვითეული სახლის პატრონი მოვალეა იქონიოს სახლის წიგნი.

2) სახლის პატრონებმა და მოქირავნეებმა თვალყური უნდა ადევნონ რომ სახლის წიგნში ყველანი რიგზე და დროზე იყვნენ ჩაწერილნი. პასუხის მგებლები ამაში სახლის პატრონთან ერთად მოქირავნენიც იქნებიან.

3) ამ წესების დამრღვევნი პასუხს აგებენ სასჯელთა წესდების მე-29-ე, მუხლის თანახმად. (1—867—1)

---

„განათლების“ საზოგადოების

## წლიური კრება

დანიშნულია ოთხშაბათს, 27 ქრისტეშობისთვეს, 11 საათზე ქალთა სემინარიის სადგომში (სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა № 6). მოსაწვევი ბარათი კერძოთ არავის გაეგზავნება. სთხოვენ ყველას დაესწრონ კრებას.
1—922—1

---

## ქართული კლუბი

ხუთშაბათს 28 დეკემბერს 1917 წ.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თბ. ქალაქის კომიტეტი გამართავს დიდ

## საღამო-მეჯლისს

**დარისპანის გასაჭირი.**

II

ქართული მუსიკა ბ. მელიტონ ბალანჩივაძის ხელმძღვანელობით.

წარმოდგენილი იქნება დ. კლდიაშვილის კომედია

**კონცერტი კაბარე,**

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ როგორც ქართული, ისე სხვა ეროვნებათა საუკეთესო ძალები.

### დასაწყისი საღამოს 8 საათზედ

საკონცერტო განყოფილება დაიწყება საღამოს 9 საათზედ, ხოლო კონცერტი—კაბარე დაიწყება 11 საათზედ, რომელსაც მოჰყვება საერთო ნადიმი.

ადგილების ფასები: შესასვლელი ფასი 3 მან. ვინც თეატრის ბილეთს იყიდის, შესასვლელ ფასს არ იხდის. ბილეთები იყიდება საჩაიე „ძმურ ნუგეშში“, ხოლო წარმოდგენის დღეს—თეატრის კასაში. ვახშმის მაგიდებისათვის ჩაწერა შეიძლება ქ. ნ. გაბაშვილთან, კობის ქუჩა, № 11. ტელეფონი 75.

1—1 საღამოს გამგე ფ. ქვარიანისა

---

## თბილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 1918 წლის იანვრიდან სახალხო განათლების განყოფილებაში არსდება რუს-ქართველ-სომეხთა სასწავლებლების ინსპექტორთა თანამდებობა. თვითეულის ჯამაგირი წლიურად 4,800 მანეთი.

თხოვნები ცნობისა და „Curriculum vitae“-ს (კურიკულუმ ვიტე) შესახებ დოკუმენტებით მიიღება სასწავლებლების განყოფილებაში (სერგიევის ქუჩა № 4) 1918 წლის იანვრის 5 მდე. (1—868—1)

# ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

# მეორე ყრილობა

მთავარ კომიტეტის დადგენილებით მოწვეულ იქნება 1918 წელს, იანვარის 14.

## ყრილობის წეს-რიგი.

**სატაქტიკო საკითხები:**

ა) პოლიტიკური მომენტი და ტაქტიკა. ბ) საქართველოს სამხედრო, საფინანსო და სამეურნეო მდგომარეობა. გ) საქართველოს ეროვნული საბჭო და დამფუძნებელი კრება. დ) ერობის საკითხი.

**საპროგრამო საკითხები:** ა) პოლიტიკური საგანი. ბ) აგრარული საგანი.

**საორგანიზაციო საკითხები.** 1) მთავარ კომიტეტის მოხსენება. 2) პარტიის ორგანიზაციების მდგომარეობა და წესდება. 3) არჩევნები.

ყრილობის მოწვევა დავალებული აქვს მთავარ კომიტეტისგან საგანგებო კომისიას, რომლის პრეზიდიუმში შედიან: **ნიკო ნიკოლაძე, სპირიდონ კედია, გრიგოლ ვეშაპელი და პართენ გოთუა.**

ყრილობის პროგრამისა და ინსტრუქციის დასამტკიცებლად 29 ამ თვეს თბილისში გაიმართება საგანგებო თათბირი კომისიისა პროვინციულ კომიტეტების წარმომადგენლებთან ერთად. ამ თათბირზე მიწვეულნი არიან ქუთაისის, ბათუმისა და ბაქოს საგუბერნიო კომიტეტთა და საგანგებოდ სიღნაღისა და თელავის სამაზრო კომიტეტთა თითო წარმომადგენელი.

# შობას

ომის დაწყებიდან არც ერთი შობა დღე არ ყოფილა ჩვენთვის ისე მძიმე, როგორც დღევანდელი..- ომმა და რევოლუციამ დახარჯა ქართველი ერის ფიზიკური, ეკონომიური და სულიერი ძალა... დრაკებითი ზავი და ანარქია შიმშილის გარდა შინაურ და გარეშე მტრის განაწილებას გვემუქრება... ისტორია მეორდება... ამ ასი წლის წინადაც ხომ ასე იყო: ქართველი ხალხის ღონობით გამწვრთნილი მეფენი ორიენტის ძებნაში იყვნენ, მთიულეთით და ადერბეიჯანით გვიწყრებოდნენ, სპარსეთი და ოსმალეთი სტრატეგიულ საზღვრებისათვის ეცეცხლებოდა და მახვილის რკალს არტყამდნენ საქართველოს... მომთაბარე ქურთები და შასევანები საქართველოს მდიდარ დაბა-ქალაქის ახაკლებად იყვნენ გამზადებულნი... ტომებათ და დასებათ დაყოფილი ქართველობა საქართველოს საქმეს თავის კეთილდღეობას ანაცვალებდა და გულცივად შეჰყურებდა, თუ როგორ ტანჯებოდა მეფე ერეკლე სახელმწიფოს სამხედრო და საფინანსო ღონის შესაკრებად... თუ როგორ გათავდა მაშინ საქართველოსა და მის მეზობელ მთა და ბარისათვის განადგურებულ თბილისის ისტორია, ეს ყველამ უწყის..

ახლა რა იქნება, არ ვიცით... ცხრა თვე სრულდება, რაც ჩვენი სამშობლო რუსეთის რევოლუციით არის ორსული და თავისუფალ საქართველოს შობას ველით... აქამდის ის გვეშინოდა, რომ ნაშობი ჯანსაღი კი არა ღონემიხდილი ყოფილიყო, ახლა იმის გვეშინია, რომ საქართველო თან არ გადაჰყვეს ამ შობას...

მსხვერპლის გაღებისათვის უნდა ვიყვეთ მზად... შეიძლება ჩვენმა ეროვნულმა საბჭომ მალე დიდი სამხედრო და საფინანსო მსხვერპლის გაღება მოსთხოვოს ამიერ-ამიერთს... ღმერთმა ნუ ჰქნას რომ გამეორდეს მეფე ერეკლეს სახელმწიფოებრივი ტრაგედია... მოვიკრიბოთ ის უკანასკნელი გრძნობანი, რომელიც ჩვენ გულს ჯერ კიდევ არ დაუხურდავებია პირადულ და პარტიულ ანგარიშზე და შევქმნათ ჩვენში და სხვებში ის ღვთიური ალტაცება, ენტუზიაზმი, რომელსაც არა ერთხელ დაუხსნია შინაურ და გარეშე განსაცდელის დროს ჩვენი სამშობლო, ჩვენი პატრია.

თუ ეს ენტუზიაზმი არა, ისე ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ მოესწრობა, რომ საქართველოს მიეღწიოს ის „ქვეყანასა ზედა მშვიდობა", რომელსაც ასე ლამაზად იგალობებენ შობა ღამეს ქართულ ეკლესიებში.

**გრიგოლ ვეშაპელი.**

# ზავის გარშემო

## ზავი გერმანეთთან

### საზავო დელეგაციის განცხადება

პეტროგრადში დაბრუნებულ საზავო დელეგაციის განცხადებით: გერმანეთის წარმომადგენლები თანახმანი არიან ბელორუსეთის დაცლაზე. რუსეთის დელეგაციის ერთ-ერთ წევრის განცხადებით კიულმანისათვის: თუ გერმანელები რუსეთის მთელ ტერიტორიას არ დასტოვებენ, ომის განგრძელება მოგვიხდება.

### კიუმანის და ლეოპოლდ ბავარიელის საუბარი

გერმანეთის დელეგაციის წევრი კიულმანი ტელეგრაფით ელაპარაკა ბრესტში მყოფ ლეოპოლდ ბავარიელს. საუბარი დაფარულია.

### რუსთა დელეგატთა დეპეშა

რუსეთის საზავო დელეგაციის თავმჯდომარემ ავსტრო-გერმანულ კოალიციას დეპეშა გაუგზავნა, რომლითაც აცნობებს, რომ რუსეთის მთავრობას სურს მოლაპარაკება ნეიტრალ ნიადაგზე მოხდეს და ამისთვის საზავო შეკრებილად გამოცხადებულია სტოკჰოლმი. დელეგაცია პასუხს ელის პეტროგრადში. ტელეგრამაში ნათქვამია, აგრეთვე ის ორი პუნქტი გერმანელთა მიერ დადებულ პირობებიდან, ერთა თვით-გამორკვევას რომ შეეხება, რუსთა დელეგაცია ამ პუნქტებს საწინააღმდეგოდ სცნობს ერთა თვით-გამორკვევის პრინციპისათვის.

### გერმანეთი და ზავი.

პარლამენტის მარცხენა პარტია ენერგიულ პროტესტს აცხადებს რაისსტაგის საზავო მოლაპარაკებაში ჩარევალობის გამო. კიულმანს ბერლინში პარტიის ლიდერებთან ჰქონდა თათბირი. თათბირში მონაწილეობა მიიღეს პაპის საზავო ნოტაზე გაცემულ პასუხის რედაქციის გამწევმა კომისიამ, დამოუკიდებელთა ლიდერმა ჰაზემ და ერთმა თავისუფალ კონსერვატორმა.

„Local Anzeiger" სიტყვით აქვეყნებს ნაციონალ-ლიბერალების პროტესტს დაპყრობილ ადგილების მცხოვრებთათვის თვით-გამორკვევის უფლების მინიჭების შესახებ.

„ჰუმანიტე" სწერს: გერმანეთის დამოუკიდებელ სოციალისტებს აქ მდის ოფიციალად არა განუცხადებიათ რა, თუ რა აზრისანი არიან შეიდემანის ბოლშევიკებთან კავშირზე. მხოლოდ ერთი ფრანც მერინგი მტკიცედ გაცხარებული ჰკიცხავს ბოლშევიკების ტაქტიკას.

ჩეხელი დეპუტატი მოდრაჩეკი (სოც.-დემ.) სწერს რომ, რუსეთის რევოლუციამ თავის მნიშვნელობა გაჰკარგა და დაჩაგრულ ერების იმედები ჩაჰკლა. „ბოლშევიკური რევოლუცია სრულებით არას აწვდის გერმანეთის სოციალ-დემოკრატიის ინტერესებს. გერმანეთის ბურჟუაზიული პრესა სტკბება იმ შეწყინებელ პერსპექტივებით, რომელსაც რუსეთთან სეპარატიული ზავი უხატავს. „ფრანკფურტის გაზეთი" ქრისტეშობისთვის 9-ის თარიღით აცხადებს, რომ ავსტრია გერმანეთის ჯარების დასავლეთისკენ გადმოყვანამ მეტად გააუმჯობესა გერმანელთა სტრატეგიული მდგომარეობა. ამავე გაზეთის აზრით გერმანეთი მოითხოვს რომ მას დარჩეს ბრიე და ლონგვი.

# ბოლშევიკების დიქტატურა

## პეტროგრადში

### პროფესიონელების უარი სამსახურზე

პროფესიონელებმა თავრიდის სასახლეში სამსახურზე უარი განაცხადეს. მათ ნაცვლად მცველობას ახლა ფინლიანდიის პოლკი ეწევა.

### საუკეთესო გილიოტინა

„პეტროგრადის საღამოს ფოსტა" იუწყება: გერმანელ ინჟინერმა ბარონმა სახალხო კომისრების საბჭოს საუკეთესო გილიოტინის პროექტი წარუდგინა. გილიოტინა ელექტრონის ნაკადით მოქმედობს. ამასთან მას ერთდაიმავე დროს 500 კაცის თავის მოკვეთა შეუძლიან. ბრიუში ურჩევს, გილიოტინა პეტროპავლეს ციხის მოედანზე დასდგიონ.

### აზოვ-დონის და ციმბირის ბანკები

ბოლშევიკებმა დაიპყრეს აზოვ-დონის და ციმბირის ბანკები. შეიპყრეს მათ მმართველობის წევრები ეშტეინი და ზანდერი. დატუსაღებულები პეტროპავლეს ციხეში მოათავსეს.

## პროვინციაში

### დონის მთავრობა

გენერალი კალედინი ხელმეორედ 562 ხმით 76 წინააღმდეგ აირჩიეს სამხედრო ატამანად. მის ამხანაგად 411 ხმით მ. პ. ბოგაევსკი, სამხედრო მთავრობის წევრებად: ვ. ა. ხარლამოვი (ამიერ-კავკასიის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე), ნ. მ. მელნიკოვი, პ. მ. აგეევი (დემოკრატიულ საბჭოს წევრად ნამყოფი), ი. ფ. პოლკოვი, ს. გ. ელატონცევი, ბ. ნ. უდანოვი და გ. ი. კარევი. მათ კანდიდატებად—ფ. ს. ფორონკოვი (მე-4-ე სახელმწიფოს წევრად ნამყოფი), ა. პ. ეპიფანოვი და ს. ვ. მაკაროვი. სხვათა შორის წევრების არჩევნების დროს აღმოუჩენიათ 4 ბარათი ლენინის სახელზე მოითხოვდნენ, 3—ტროცკის, 1—კოლლონტაის და 6 გოლუბოვის (ბოლშევიკი—ყაზახი) სახელზე.

### ყაზახების დონისკენ წამოსვლა

სახალხო კომისრების საბჭო იძულებული შეიქმნა აესრულებინა დონის ყაზახთა პოლკების მოთხოვნილება. ყაზახებმა დონისკენ გამოგზავნა მოითხოვეს.

### ბოლშევიკები პიატიგორსკისკენ

„როსტოვის რეჩი" იუწყება: პიატიგორსკში იკრიბებიან ყაზახთა და მთიელთა ნაწილები აქეთკენ მომავალ ბოლშევიკების დასახვედრად.

### წითელ გვარდიელების იარაღის აყრა

ყაზახებმა ტაგანროგში წითელ გვარდიელებს იარაღი აჰყარეს. იარაღის აყრის დროს არავითარი ექსცესი არ მომხდარა.

### უკრაინელთა ექსტერიტორიალობა

უკრაინის სარევოლუციო შტაბს უკრაინის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ, ექსტერიტორიალობის უფლების ძალით, დაავალა პეტროგრადის სამხედრო ოლქში არსებულ უკრაინელთა ქონების და პიროვნებათა დაცვა.

### დეპუტატთა გაწვევა

პეტროგრადის რადის უკრაინელთა სარევოლუციო შტაბი აცნობებს დამფუძნებელ კრების უკრაინელ წევრებს, რომ მან პირდაპირის მავთულით გენერალ სეკრეტარიატიდან შემდეგი ცნობა მიიღო: დამფუძნებელ კრების წევრები უკრაინაში უნდა დაბრუნდნენ, რათა დაესწრონ უკრაინის დამფუძნებელ კრების წევრთა ყრილობაზე. პეტროგრადში დამფუძნებელ კრების წევრად 100 უკრაინელი ყოფილა.

# უკრაინა

## გენერალ სეკრეტარიატის ნოტა

უკრაინის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ გენერალ სეკრეტარიატმა, გიორგობისთვის 25-ს თავისი ნოტა გაუგზავნა რუსეთის ახლად დაფუძნებულ რესპუბლიკათ, სახელდობრ: სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირის მთავრობას, ავტონომიურ ციმბირის მთავრობას, ამიერ-კავკასიის საოლქო კომისარიატს, ავტონომიურ ყირიმის მთავრობას, ბელორუსიის ცენტრალ რადას, ავტონომიურ მოლდავეთის მთავრობას, აგრეთვე სახალხო კომისართა საბჭოს პეტროგრადში. ნოტის წინადადებით, უსაცილოდ საჭიროა შეიქმნეს ფედერაციის პრინციპით ერთნაირი სოციალისტური მთავრობა.

დღეს, როცა შეუძლებელი გახდა დამფუძნებელ კრების წესიერი მუშაობა, რუსეთისათვის ფრიად საჭიროა, ისეთი მთავრობა, რომელსაც სათანადოთ განატკიცებს რუსეთში მოქცეული ყველა რესპუბლიკა. წარმოიდგინეთ, გენერალ სეკრეტარიატს დღემდე არავითარი პასუხი არ მიუღია, არც სახალხო კომისართა საბჭოდან, არც საოლქო მთავრობათა მიერ.

ერთად ერთის გამონაკლისს შეადგენს დონელ ყაზახთა მთავრობა, რომელმაც თავის წარმომადგენელთა საშუალებით განაცხადა, რომ ის იღებს გენერალ სეკრეტარიატის განცხადებას და სავსებით ეთანხმება ერთის სოციალისტური მთავრობის შედგენის საჭიროებას ფედერაციულ პრინციპებზედ.

ამასთანავე გენერალი სეკრეტარიატი საჭიროდ სცნობს, ყურადღება მიექცეს რუსეთის მომავალ ფედერატიულ სახელმწიფოს იმ საფუძვლებს, რომელთაც უკრაინის ერი საჭიროდ სცნობს რუსეთის ყველა ფედერატიულ ნაწილებისათვის. ისეთ სახელმწიფოთაშორისო საფუძვლებს, გენერალი სეკრეტარიატი უერთებს: რუსეთის თვითეულ სახელმწიფოს ნამდვილ დემოკრატიულ პოლიტიკურ წეს-წყობილებას, პიროვნების, სვინიდისის ბეჭდვითი სიტყვის, კრებების, გაფიცვის, ბინის ხელუხლებლობის თავისუფლებას და სხ.

უკრაინის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა ნებას არავის არ მისცემს, რომ მისპობილ იქმნას რუსეთის თვითეულ რესპუბლიკის შინაური დამოუკიდებლობა.

უკრაინის გენერალი სეკრეტარიატი თამამად აცხადებს მას, ვინც კი მოისურვებს მის უფლებათა შელახვას და ამასთანავე ჰპირდება რუსეთის ყველა დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომ მხარს დაუჭერს ასეთნაირ მოქმედებაში.

ხელს აწერენ: გენერალ სეკრეტარიატის თავმჯდომარე **ვ. ვინნიჩენკო**, საეროვნებათაშორისო საქმეთა მთავარი მდივანი **ა. შულგინი**, მთავარი გადამწერლის მოადგილე **ი. მირნი**.

# უკრაინის ჯარის დისციპლინა

უკრაინის სახალხო ლაშქრის ეროვნებით სტატუტში სხვათა შორის გვხვდება შემდეგი პუნქტები:

15. ყოველივე ლაშქრის ძალა მდგომარეობს მის ორგანიზაცია-დისციპლინაში. ამისათვის კი ყოველი უკრაინელი უნდა იყოს პატიოსანი და თავის სამსახურის ერთგული.

16. უკრაინელს სამსახურს მთავრობა კი არ ავალებს, არამედ მისი სამშობლო, ამისათვის სამსახურის ღალატი—სამშობლოს ღალატია.

17. ყოველ უკრაინელმა უნდა აასრულოს თავისი მოვალეობა თანამდებობის ფარგლებში. მაგალითად: პოლკოვნიკი არ უნდა ტელეფონისტობდეს და უბრალო ჯარისკაცი კი ჯარს არ უნდა უფროსობდეს.

18. თვითეული უკრაინელი უნდა ასრულებდეს თავის უფროსის ბრძანებებს რა თქმა უნდა ისეთ ბრძანებებთა გარდა, რომლებიც რესპუბლიკის კანონებს ეწინააღმდეგება და მისი ნება შეუძლია.

19. ბრძანების შედეგებზე პასუხს აგებს მისი გამცემი უფროსი.

20. თვითეულ უკრაინელმა ჯარისკაცმა ბრძანება უდრტვინველად უნდა მოისმინოს. თუ რამეში ეჭვი შეიტანა, შეუძლიან შეკითხვა. ახსნა-განმარტების შემდეგ ბრძანება დაუყოვნებლივ უნდა შესრულებულ იქმნას.

21. თვითეული ყაზახი იძლევა პასუხს დისციპლინის მიხედვით. მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ბრძანების შეუსრულებლობამ შეიძლება საუკუნოდ დაღუპოს ბევრნი და საზოგადო საქმეც დაანგრიოს.

22. თვითეულმა ყაზახმა უნდა მ. პ. მართოს უფროსს, როგორც იყო ძველად ზაპოროჟეცთა ლაშქარში. „პანე ლაშქრისავ", „პანე პოლკოვნიკო"! და სხვა, უსაცილოდ უნდა მოიხსენიონ თანამდებობა.

23. ჯარის უფროსი კერძო ცხოვრებაში თავის თანამოსამსახურეთ ისე უნდა მოექცეს, როგორც ამხანაგს, სამხედრო სამსახურის ასრულებისას კი ზრდილობიანად; ამასთანავე არ უნდა დაარღვიოს წესრიგი და მოითხოვოს ბრძანებათა სწორე აღსრულება.

24. უფროსი, რომელიც ყურადღებას არ აქცევს წესიერების დარღვევას პასუხს აძლევს კანონს, ამით ის არღვევს უკრაინის სამხედრო ძალას და მასთან მოზიდულ მხარის ძლიერებასაც.

25. ლაშქრის წესიერების დარღვევას კი შეადგენს: ბრძანების შეუსრულებლობა, ზარმაცობა, ლოთობა ან აზარტით ბანქოს თამაში ფულზე, სამსახურში დაგვიანება და სხ. დარღვევა წესრიგისა.

26. ყველა უფროსი ვალდებულია თავის სამხედრო ნაწილებში საქმეთა მიმდინარეობაზე პასუხი აგოს. ყველა უფროსი უნდა შეეცადოს, რომ მეტად მეგობრული კავშირით შეჰკრას ყაზახობა.

27. სალაშქრო რადა ვალდებულია ყოველივე დახმარება აღმოუჩინოს უფროსებს, ესოდენ ძნელ საქმის შესრულებაში. დისციპლინის საქმეს ხელმძღვანელობს რადა.

29, თუ რადამ და თვითეულმა მისმა წევრმა ვერ გამოიყენა თავისი უფლება, მაშინ ასეთნაირ უმოქმედობისათვის კანონის წინაშე აგებენ პასუხს.

**შენიშვნა.** რადის კომპეტენცია, რომელიც შეეხება დისციპლინარულ გარდამხდეულებების გარდაწყვეტილებას, განმარტებულია რადის სტატუტში.

30. ბრძოლის დროს კომანდირს სრული უფლება ეძლევა ყველას აასრულებინოს სამხედრო განკარგულება.

# დამფუძნებელ კრების გარშემო

## დამფუძნებელ კრების გახსნის მოლოდინში

დამფუძნებელ კრების საქმეთა კომისარმა ურიცკიმ წინადადებით მიჰმართა სახალხო კომისართა საბჭოს—დამფუძნებელი კრება გახსნას იანვრის რიცხვებში. სახალხო კომისართა საბჭო ამ დღეებში გამოაცხადებს დამფუძნებელ კრების გახსნის ვადას. დამფუძნებელ კრების წევრთა ხელშეუხებლობა უზრუნველყოფილი იქნება კრების გახსნიდანვე. დაპატიმრებულ წევრებს გაანთავისუფლებენ იმ შემთხვევაში, თუ დამფუძნებელი კრება არ შეეწინააღმდეგება სახალხო კომისართა საბჭოს.

### კერენსკის მოხსენება

კერენსკის უკვე დაუმზადებია მოხსენება თავის მოღვაწეობის შესახებ დამფუძნებელ კრებისათვის წარსადგენად.

# ეროვნული საკითხი

## ესტლიანდიის დამოუკიდებლობა

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტმა დაადგინა დამფუძნებელ კრების არჩევნები 1918 წ. იანვრის 21 და 22-სათვის ხოლო მისი მოწვევა დანიშნულია თებერვლის 15-სათვის.

# ეკონომიური ცხოვრება

## თავის დაზღვევა ექსცესებისაგან

სამხრეთ-რუსეთის მთის მრეწველებმა შემოიღეს მუშათა თავის დაზღვევა ექსცესებისაგან. დაზღვევების წესების თანახმად ყველა მოსამსახურენი დაწყებული დირექტორიდან უბრალო მუშამდე დაზღვეულია და თუ რომელიმეს ბოროტგანზრახვით მოჰკლავენ, ან და ექსცესებით დაასახიჩრებენ და ან წარმოებიდან დაითხოვენ—იგი იღებს წლიურ ჯამაგირს ერთის თორმეტამდე—იმის მიხედვით, თუ რამდენად დაკარგა შრომის უნარი, რამდენად დაზავდა და სხვა.

# ქრონიკა

## თბილისი.

◆ **კიტა აბაშიძის გარდაცვალების** გამო სამგლოვიარო დეპეშა მოუვიდა რედაქციას ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტლის ექიმ-მოსამსახურეთაგან და რკინის გზის მოსამსახურეთა მე-2 განყოფილებისაგან.

◆ **ქართულ სატექნიკო საზოგადოების საბჭოს** უკანასკნელ კრებაზე დამსწრეთაგანმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს განსვენებულ საზოგადო მოღვაწის და ქუთაისის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარის კიტა აბაშიძის ხსოვნას და გადაწყვიტეს დაესწრონ დასაფლავებას მთელი თავის შემადგენლობით.

◆ **წირვა სიონის ტაძარში.** ხვალ, 25 ქრისტეშობისთვეს უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს პატრიარქ კათალიკოზი კირიონ მეორე და თბილელ მიტროპოლიტი ლეონიდე სამღვთო-ლიტურღიას შეასრულებენ სიონის საკათედრო ტაძარში.

◆ **5 მილიონიანი ლატარეა.** მოთავენ 5 მილიონიან ლატარიის მომწყობ საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია კონ. ნ. აფხაზი. გამგეობის თავმჯდომარედ ბ-ნი ი. ლორთქიფანიძე, ხოლო გამგეობის წევრებად—ს. ახვლედიანი, შ. დადიანი და პ. ქავთარაძე; საქმის წარმოებლად გამგეობამ მიიწვია ბ-ნი ი. ჭყონია. გამგეობა მოთავსებულია ამიერ კავკასიის ბანკის ბინაზე (ლორის-მელიქოვის ქუჩა). გამგეობა უკვე შეუდგა ლატარიის მოწყობას.

◆ **მაჰმადიანთა კომიტეტი თბილისში.** მაჰმადიანთა თბილისის კომიტეტმა დააარსა მუდმივი ბიურო. ამავე კომიტეტმა ქრისტეშობისთვის 10 სხდომაზე მოისმინა კომიტეტის თავმჯდომარის ხამმამედოვის მოხსენება ჩრდილო კავკასიის ამბების შესახებ. მთიელთა კავშირმა ხამმამედოვი სამხრეთ აღმოსავლეთის გაერთიანებულ მთავრობის წევრად აირჩია, რის გამოც ხამმამედოვი მაჰმადიანთა თბილისის კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგა. ხამმამედოვი კომიტეტმა თავის საპატიო წევრად აირჩია.

◆ **ქალაქის სესხი.** თბილისის თვითმართველობამ [illegible] გამოცემის შესახებ შეთანხმება ადგილობრივ ბანკებთან, რომელნიც 3 ნახევარ მილიონ მანეთს განაწილებენ.

◆ **შაქრის მონოპოლიას** იანვრიდან შემოიღებენ. ამის გამო უკვე გაადიდეს ამიერ-კავკასიის საოქციზო გამგეობის მოსამსახურეთა რიცხვი.

◆ **„დიდების ტაძარში"** („ხრამ სლავი") მით ეწყობა შემდეგი ქართული საზოგადოებანი: მწერალთა კავშირი, მხატვრობა, ფილარმონიული, სახალხო მუზიკისა, დრამატიული საზოგადოებანი და მახარობელთა კავშირი.

# ამიერ-კავკასიის კომისარიატი

◆ **რუსის ჯარი სპარსეთში.** სპარსეთის გენერალურმა კონსულმა სთხოვა ამიერ-კავკასიის კომისარიატს რუსის ჯარი გამოიყვანოს სპარსეთიდან, რადგანაც ჯარის კაცები იქაურ სოფლებს არბევენ.

◆ **ღონისძიება ჯარის გადასაყვანად.** სარკინიგზო საქმეების უფროსი სთხოვს ამიერ-კავკასიის კომისარიატს ორი მილიონი მანეთი გადასცეს ფრონტიდან წამოსულ ჯარის გადაყვანის დასაჩქარებლად.

◆ **ერობა.** საერობო არჩევნები განზრახულია 2 თვის შემდეგ. საერობო საქმეების კომისია უკვე შეუდგა საარჩევნო სიების შემუშავებას.

◆ **იარაღის მიცემა მუსულმანებისათვის.** შინაგან საქმეთა კომისარმა ა. ჩხენკელმა ნება დართო მუსულმანელებს იარაღი მისცენ შესხმებისაგან თავის დასაცავად.

◆ **განჯის ამბები.** ქრისტეშობისთვის 22-ს კომისარიატს ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა განჯის გუბერნიის ამბების გამო. კომისარიატმა ის დასკვნა გამოიტანა, რომ განჯის ამბებს შემთხვევითი ხასიათი როდი აქვს, არამედ ის დიდ უბედურებას უმზადებს მთელ კუთხეს. ამიტომ კომისარიატმა დაადგინა: 1) გაიგზავნოს განჯაში აკაკი ჩხენკელი და მიენიჭოს მას ამიერ კავკასიის კომისარიატის უფლებანი იქ მოქმედების დროს, 2) გაიგზავნოს განჯის გუბერნიაში ქართველი პოლკი, რომელიც გამოიცვლის იქ მყოფ იუნკერთა რაზმს და 3) გაიგზავნოს იქვე ჯავშნიანი მატარებელი. ბ-ნი აკაკი ჩხენკელი უკვე წავიდა განჯას; მასთან ერთად წავიდნენ, ჯაფაროვი, ხან-ხოისკი, ერზინკიანი, კანტემიროვი და სხ.

◆ **მაჰმადიანთა ლაშქარი.** ამიერ-კავკასიის კომისარიატმა დაამტკიცა პროექტი დებულებისა მუსულმანთა კორპუსის მოწყობის შესახებ.

# საზოგადოებანი და კრებები

◆ **ალიონის სათათბირო კრება.** ქრისტეშობისთვის 27 დილის 11 საათზე ქართულ კლუბის დარბაზში დანიშნულია სათათბირო კრება სოც.-დემოკრ. „ალიონის" ჯგუფისა. დელეგატებმა, როგორც პროვინციის ისე ქალაქისას შესასვლელი ბილეთები მიეცემათ „ალიონის" რედაქციაში.

◆ **სამღვდელოთა საბჭოების ყრილობა.** ქრისტეშობისთვის 22-ს თბილისის საბჭოების წარმომადგენელთა ყრილობამ დაადგინა გადასდვას ერთდროულად 5 000 მანეთი თბილელ მიტროპოლიტის საბჭოს კანცელარიის შესანახად. კრებამ აგრეთვე თანაგრძნობა გამოაცხადა არქიმანდრიტ ნაზარისა და დეკ. ბ-ნ. ღულიაშვილს [illegible] პოლიტიკის გამო.

# კიტა აბაშიძის დაკრძალვის წესრიგი

კვირას, წირვა დაიწყება დილის 9 საათზე. ნაშუადღევს სიონის ტაძარში წირვის დასრულების ტაძრიდან კუბოს გამოასვენებენ მთავარ კომიტეტის წევრნი და ამხანაგი მეგობრები. პროცესია ამავე წესით დაწყობილი გუნდითა და ორკესტრით გაემართება ერევნის მოედნისაკენ. აქ წარმოითქმება სიტყვები. შემდეგ პროცესია გაივლის პუშკინის ქუჩას და მივა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის კლუბთან, სადაც კვლავ სიტყვები წარმოითქმის. აქედან შტაბის ქუჩით პროცესია გავა სასახლის ქუჩაზე და შეიჩერდება „სახალხო საქმის" რედაქციასთან. აქაც ნათქვამი იქნება სიტყვები. პროცესია დაიძვრის სასახლისა და გოლოვინის პროსპექტით, ჩაივლის ვერის ღადმართს, მიხეილის პროსპექტითა და მუშტაიდით მივა დიდუბეში, ქართველ მოღვაწეთა საძვალეში ძვირფასი მოძმისა და დაუვიწყარ ამხანაგის საუკუნო განსვენების ადგილზე. საფლავზე წარმოთქმული იქნება სიტყვები.

# რეკვიზიციის ანაზღაურების წესი

მომქმედ ლაშქრისათვის მოხდარ რეკვიზიციის მრავალ შემთხვევათა და სამხედრო ჯარმოებათა მიერ კერძო პირების ქონების განადგურებამ ბევრი წანახდენის ან ზღაურების შუამდგომლობა.

ასეთი სახის შუამდგომლობათათვის საჭიროა გაცნობა იმ განსაკუთრებულ კანონისა, რომელიც გამოიცა 1916 წელს 331 ნომრით. ამასთან ერთად საჭიროა გაცნობა 1916 წელს 58 ნომრით სამხედრო უწყებაში გამოცემულ ბრძანებისა, რომლებითაც დადგენილია შემდეგი წესი:

სამხედრო მიზნებისათვის ჩამორთმეულ საგნების და სხვადასხვა დავალებით სამუშაოს მცხოვრებთა მიერ ასრულების გამო გამოწვეული ხარჯების გასასტუმრებლად კავკასიის თვითეულ გუბერნიაში არსებობს თითო სარეკვიზიციო კომისია. კომისიაში შედიან სხვადასხვა უწყებების და ადგილობრივ ქალაქის და სოფლის მცხოვრებთა წარმომადგენლები. ასეთი კომისია თბილისშიაც არსებობს. განცხადება კომისიის თავმჯდომარის სახელით იწერება.

ჯარების მიერ წახდენილ ნათესის, ბაღების და სხვადასხვა ქონების შესაფასებლად არსებობენ ეგრედ წოდებულნი დამფასებელი კომისიები.

ასეთ საქმეებზე შესახებ ცნობები იგზავნება კავკასიის ფრონტის სალიკვიდაციო კომისიისადმი გადასაცემად (თბილისში, სასახლის ქ., სახლი № 6).

სალიკვიდაციო კომისია თვალ-ყურს ადევნებს სარეკვიზიციო და დამფასებელ კომისიების მოქმედებას, იხილავს საჩივრებს ხარჯების სრულიად ანაზღაურობის შესახებ, ამასთან მომჩივანს შეუძლიან თვის საჩივრის განხილვის დროს დასწრება, მოწმეების და ექსპერტების მიწვევა. მასვე უფლება აქვს სთხოვოს კომისიას წანახდენის ადგილობრივ ნახვა. წანახდენის ასანაზღაურებელ ფულს იძლევა სალიკვიდაციო კომისია მის განგების ქვეშ მყოფ კრედიტებიდან. სამხედრო რაზმებისაგან მიყენებულ ზარალს სამეურნეო თანხიდან ანაზღაურებენ, დანასრულ სხვა ყოველივე პრეტენზიის დაკმაყოფილება შემდეგშიაც შეიძლება. ვისაც რაიმე პრეტენზია აქვს ხაზინაში შესატანი, კარგი იქნება, თუ არ დააგვიანებს და საჩქაროდ მისცემს განცხადებას, რადგან შემდეგში უფრო გაძნელდება საჭირო იმ საბუთების შეკრება, რის მიხედვითაც უნდა ანაზღაურდეს ზარალი.

კომისიაში შესატან განცხადებებს საგერბო მარკები არ სჭირდება.

# სომეხთა ეროვნული მობილიზაცია

## ეროვნულ საბჭოს განკარგულება.

ეროვნულმა საბჭომ აირჩია 8 კაცისაგან შემდგარი საგანგებო კომიტეტი. კომიტეტს მიენიჭა სრული ნდობა ფრონტის გაძლიერებისათვის. ეროვნული საბჭო მოუწოდებს ყველა სომეხს, უდრტვინველად აასრულონ საგანგებო კომიტეტის ყოველგვარი განკარგულება და მთელის თავიანთი არსებით მხარი დაუჭირონ მას, რათა შესძლოს ყველა იმ მძიმე მოვალეობათა ასრულება. საგანგებო კომიტეტის წევრებს თან აქვთ მოწმობა რუსულსა და სომხურს ენაზე. მოწმობა შემოწმებულია საბჭოს ბეჭდით და თავმჯდომარის ხელის მოწერით. **სომხეთა ეროვნული საბჭო.**

## სომეხ სტუდენტებისადმი.

სომეხთა სტუდენტობის აღმასრულებელი კომიტეტი, თანახმად ეროვნულ საბჭოს დადგენილებისა, მოგიწოდებს:

1) ამ ჟამად რუსეთში მყოფ სომეხ სტუდენტობას: დაუყოვნებლივ დაბრუნდნენ თბილისში.

2) თბილისში მყოფ სომეხ სტუდენტობას: შევიდნენ აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებაში და ჩაეწერნენ კომიტეტის სიებში.

3) ამიერ კავკასიის სხვა ქალაქებში მყოფ სტუდენტობას: დაუყოვნებლივ შევიდნენ სომეხ ჯარისკაცთა კავშირის ადგილობრივ განყოფილების განკარგულებაში.

**სომეხ სტუდენტების აღმასრულებელი კომიტეტი.**

# გადამიჯვნის წინააღმდეგ

## ბორჩალოს მაზრიდან

**სოფ. სონის მცხოვრებთა განაჩენი**

1917 წელს ქრისტეშობისთვის 16-ს ჩვენ ამისა ქვემორე ხელის მომწერნი ბორჩალოს მაზრის სოფელ სონის მცხოვრებნი 135 სული ორივე სქესისა ჩვენის კომისრის თანდასწრებით შეკრებილნი ერთად და ყოველივით მსჯელობა იმ გავრცელებულ ხმების შესახებ, რომ მთავრობას განუზრახავს ბორჩალოს მაზრის ტერიტორიის ერთი ნაწილი, რომელშიაც ჩვენი სოფელიც შედის—ალექსანდროპოლის ტერიტორიას შეუერთოს, ვინაიდგან ჩვენ სოფლის მცხოვრებნი, ქონებრივად, მეურნეობის ხნევით, გეოგრაფიულად და ეკონომიურად თბილისთან არის შეკავშირებული—დავადგინეთ: ვთხოვოს ადგილობრივ მთავრობას, რათა ჩვენ ძველებურად ჩვენ თბილისის გუბერნიის ტერიტორიაში დაგვტოვოს, რადგან ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ შევურიგდებით ალექსანდროპოლის გუბერნიაში მოქცევას.

განაჩენის სინამდვილეს ბორჩალის რაიონის კომისარი ამოწმებს.

განაჩენს ხელს აწერს 70 კაცი.

# პ ა ნ ი

(ანქერი—ტიტე ტაბიძეს)

თვლემს ვეებ მთები:
სისხლის-მწოველი, მზე ზვიადი, ფურცლებს, ჭინჭარებს.
ლალის სინელით ეშვებიან ცაცხვების თმები:
სუნთქვა შეუკრავს აქ ხორკლიან მიწას მძინარებს.
ლივლივებს თამაშით ალმურის თალხი:
მარმაშობს აშლილი ტან-ცხელი ალხი.
თვლემავენ მთები:
კლდეთა მკერდებში დაღვეღვილი მზის ნაღალარი:
მყუდრო ცაცხლებზე ლივლის ნელა ნაცარი ლაჟვარი.
სრიალობს ფერების ფერიცვა ნალი:
ზურმუხტი, საფირო, ფირუზი, ლალი.
სისხლ-დათითგლილნი ფოთლებითა მოელვარენი—
წითურ ალმურში იზრდებიან მზის მცენარენი.
ნეშვერობს ხანი:
მხურვალე ქვებზე გაფაცხულან ხვლიკები მწვანე.
რგოლები გველთა მინაბულან ქვიალ თვალები.
ზანტი ზმორებით იზნიქება მთვლემარე პანი.
ფაცხულ სალტეებში იშმუშნება ქვეყნის მთქნარება...
— — — — — — —
ცხენები ჩემი გარინდებულან ტყეთა ჩრდილებში:
ცალგვერდით ცხვირით გაჰყურებენ ლა ზმანებით..
„მერანს“ მზითი იწვის ხვავით ბლის ფოთლებში,
სახე-შეცნობა იფუთება ცეცხლის ლანდებით.
ათას წელს იქით აქვე ვიყავ ხომ არეული,—
დღეს მას გავეცნენი თავის თავის მე არეული!
მაშინაც ასე ძალ-ნვარებდა შუადღის—ცეცხლი.
იყო სიჩუმე ჭკუტესი და უძირესი...
ნუ თუ ვფიქრობ, რომ საცოდი ჩემი სიცოცხლე—
მოგონება დატყვევებული მხოლოდ ვიწრო!
ფიქრების ტალღანი ზოოც-ზოოს მიჰქრიან:—
ან თუ ეს ფიქრიც თავის ვინმეს გაუფიქრია?!
— — — — — — —
მაგრამ ეს რაა?
რაზმი არ ცხრება: ათამაშებს ფართო ნესტოებს,
ფრუტუნებს, დახტის, გარბის, მეც მტოვებს,—
აჰა, მოვახტე!—
ამქროს უეცრად—თითქო შორით დაიმსხვრა ხვატი—
იხაფვება ღმერთმა სადღაც რწმენით გადიხითხითა...
ავარდა ზევით საზარელი ქარი ხითხ-ქვითა,—
მთებზე კეცილი ათასთვალა ფარათა ხალიჩა—
ატრიალა სადღაოშალდ, აჰკრა, ააფრიალა.
ტყე დატყვრეული, ტანად ფარფაშ,
სახე დალეჟილი აიშალა და აიგრუზა.
ახრჩილდა, აშმორდა, ამწვარი ზეთი:
ბუნებას დაეცა საშიშ წვეთი...
გარბის, გარბის ალია შლეგი,
ვეღარ გაჰკვეთს ვერა-რა ხეები..
გრიალით, ხრიალით, რიალით ცხენები—
შილინგით, ჭიხვინით ზვათმენ ცხელები.
წინ გადიშალა შავი წყალი, ფართო შავეთა—
ზედ თქარა-თქურით ტყდება ფლოქვთა შმაგი შაირი.
შხაილით, თარეშით,
შიგ გადავეშვით...
ამწვა წყალი, ასხლტა ტანით: გვახრჩობს,—ამოუცდა.
ჰა, ჩავიძირეთ,—
. . . . .
თავგნოკვეთილი ლაპისხლეული მზე ბარბაცობდა.

**გრიგოლ რობაქიძე.**

# დღევანდელი

## შაბათის რითმები

ათასფერი კარგი
მომხვდარა ამ კვირით:
სტუმრით და შარგი,
ყვავილფერი დარგი,
გვაკვირვებს სიძვირით.
სიძვირეს ვინ ეძებს,
სიძვირეს—ჯანდაბა,
როცა დაგვიდეწდეს
ქალაქი და დაბა.
აღარა გვაქვს ღონი,
გული დაიტაკა:
დაბრმავებს ხონი
და გამარცვლის განჯა.
ჯარი სულ მონატრობს,
(ვიდფუმერის სწორეთ)
ქუთაისში პიყრობს
ახდენენ მეორეთ.
მიდის წიაღვარი
დამშეულ სიმარბის;

ხალხი როგორც ცხვარი,
იფანტება, გარბის.
თუ ღამეა ბნელი
ნუ გამოხვალ ნურსად:
ისე გაძვრებს მკვლელი
ვით მშიერი სურსათ.
ჩვენ თბილისში ეხლა
ყრილობაა ჯარის,
არი დიდი შეხლა,
ოხვრაა თავმჯდომარის.
ყველა ყვირის, დაობს,
ჰაი! ჰეი! ჰოე!
მარცხნით მიხა თაობს
და მარჯვნით კი ნოე.
ყოველ მოზრდილ სახლში
იმართება კრება,
და საცოდავ ხალხში
იმედი სულა ჰქრება.

**პულდ ჩანელი**

# სხიოლასათვის

(დრამატიული ეტიუდი სამ სურათად)

**მოქმედნი პირნი:**

ძებნო, მეჩანგური.
წუნარა, ძებნოს სატრფო.
მოხუცის აჩრდილი.
ხალხი, აჩრდილნი და ბოროტნი ძალნი.

### 1-ლი სურათი

(სცენაზე პატარა ველია, რომლის უკან იწყება ტყეებით დაბურული მთიანი ადგილები ველის მარჯვენა მხარეს, მთის ძირში, ცხრა გალავანიანი კოშკია წამოდგმული. შორიდან მოსჩანს ტყეებში მიმალული მდინარის ყურე მზეილი. დრო გამოშვებით კოშკიდან ძლიერი ოხვრა და კვნესა ისმის და ტყეების ეხოს იწვევს. ველის მარცხენა მხარეს გამოჩნდებიან ძებნო და წუნარა)

**წუნარა.** რა საუცხოვო მხარეა!.. ჩვენი ბედნიერება აქ გამოიკვეთება. სულის სიმშვიდეს აქ მოიპოვებ. მდინარის ზვირული ნანა იქნება ჩვენთვის.

**ძებნო.** ბევრი გეძებე, ბევრი! ძლივს გიპოვე... ხომ ჩემი იქნები სამუდამოდ?

**წუნარა.** შენი ვიქნები სამუდამოდ, შენი! ვერავინ გაგვყრის.

**ძებნო.** ეს შემკული კუთხეც ჩვენი იქნება. აქ დავსახლდებით, მე ჩემ ჩანგურს ავაჟღერებ, შენ კიდევ ჩემო ყვავილო...

**წუნარა.** (სიტყვას ჩართმევს) მე კიდევ...

**ძებნო.** სუ!.. ეს რა გმინვა გაისმის?.. სუ! დაიცა! (პაუზა) აი იმ კოშკიდან გამოდის.. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა... გათავდა... ცხრა გალავანი აკრავს!

**წუნარა.** მეშინიან! წამო, წავიდეთ! (იწევს ძებნოს უკან).

**ძებნო.** არა, მივიდეთ კოშკთან, გული ამიფართხალდა, იქით მიიწევს (მიდის წინ და წუნარა ძალით მიჰკავს).

**წუნარა.** მეშინიან! მეშინიან!

**ძებნო.** აჰა, მოვედით. ბაბა რა არის აქ საშიში?.. (გაოცებული) ღმერთო, რა საშინელებაა ეს კოშკი! წვეტებიანი ჯავშნით გარემოცული!.. დატყვევებული ის ვიღაც არის საწყალი.

**ხმა გალავნის შიგნიდან.** ეეჰ! გალავნის გარედ ვინ ლაპარაკობთ? როგორ გაბედეთ თქვენ აქ მოსვლა?

**წუნარა.** (ქალს ამ ხმის გაგონებაზე ტანში აჟრჟოლებს) (ცივია როგორც ყინული!). წავიდეთ გენაცვალე, წავიდეთ!.. მეშინიან! მეშინიან!.. წავიდეთ! (იწევს ძებნოს).

**ძებნო.** (წუნარას ყურადღებით სტოვებს) ეჭვობა, ძალიან იტანჯება... ნეტა ვინ არის? რათ ჩასწვდა ასე ჩემს გულს ეს მწარე კვნესა? მწარე ნაღვლის სიმები რით ამიმოძრავა?

**წუნარა.** წამო, კაცო!.. ღმერთო, რა მოსდის?.. კაცო, წამოდი!

**ძებნო.** (ნელ-ნელა მისდევს წუნარას) მივდივარ, მივდივარ, მაგრამ გული კი ისევ აქეთკენ მოიწევს: აი ვგრძნობ, რომ რაღაც უჩინარი ძაფები გაიბა მე და იმ ტყვეს შორის. ვგრძნობ, რომ უკან დავბრუნდები (წინ მოხუცი მამაკაცის აჩრდილი ეღობება. წუნარა და ძებნო ჩერდებიან).

**წუნარა.** (შეკრთალი) მოჩვენება!

**ძებნო.** ნუ გეშინიან!

**წუნარა.** (კანკალით) ძებნო, ძებნო! იქით წავიდეთ, იქით!

**ძებნო.** (აჩრდილს) ეეჰ! ვინა ხარ?

(აჩრდილი ყურს არ უგდებს და კოშკის გალავნისაკენ მიემართება. გამოჩნდებიან სხვა აჩრდილნიც და ყველანი კოშკის გალავანთან გროვდებიან).

**მოხუცის აჩრდილი** (ნიავისებური სუბუქი ხმით) მრავალმა საუკუნემ განვლო. ასჯერ ასითასობით იტყდება წლები. მრავალი მებრძოლი დაიღუპა და დღეღოფილი სხივი კი ისევ ცხრაკლიტულშია გამომწყვდეული. ორივე ისევ და ისევ სათაყვანებლის კვნესით იგუბება.

**ახალგაზრდა აჩრდილი** (ნიავისებრივე სისუბუქით) უძლეველნი არიან ბოროტნი ძალნი.

**დანარჩენი აჩრდილები.** უძლეველნი არიან ბოროტნი ძალნი!

**ძებნო.** (შეცბარით აჩრდილებს) მითხარით, ვინ არის ამ კოშკში გამომწყვდეული? საბრალოს კვნესა ყურს არ ჰშორდება და გულს მიშფოთებს!.. მითხარით!..

**წუნარა.** ძებნო, წავიდეთ! მეშინიან!

**აჩრდილნი** (ძებნოს ყურს არ უგდებენ და ისევ ახალგაზრდას აჩრდილის სიტყვას იმეორებენ) უძლეველნი არიან ბოროტნი ძალნი!

**მოხუცის აჩრდილი.** უძლეველი არა არის რა. მე პირველი ვარ რომ ვიგემე ცხრაკლიტულის ბასრი მწვეტები. ჩემს ლანდს მრავალი სხვაც მოჰყვა, ამავე ცხრაკლიტულის წყევლით მოშორდით მიწას, მაგრამ იმედი მაინცა ლამპრობს. ბოროტნი დაიმსხვრევიან და გაიხარებს მარადის ახალგაზრდა სხივი. თავისუფლად ამოისუნთქავს მზიანი და ქვეყანა ყვავილნარად იქცევა. ადამიანის სიცოცხლის შვება მიეცემა. დრო სჭამს, ალამზეც ყვავილფერს და არც ეს ჯავშნიანი ცხრაკლიტული გაუძლებს. მხოლოდ ჩვენთ ჩამომავალთ გულს ხელნი არ უნდა დაეკრიფონ, უნდა ჩვენ კვალს მისდიონ და ჰპირონ წვრთვა...

(უცბად გალავანზე გამოდგებიან ბოროტნი ძალნი და აჩრდილებს ხარხარს აყრიან. აჩრდილები ნელ-ნელა იმალებიან. ცეცხლის უკან ბოროტნი ძალნი გალავანს ეფარებიან. კვნესა ძლიერდება).

**ძებნო** (თავისთვის) ორჯელ ახსენეს სხივი.. სხივი ჰქვია ცხრაკლიტულში გამომწყვდეულს მზეთუნახავს (წუნარას ხელს სტაცებს) წუნარავ, გულში მწვდება ეს კვნესა! წუნარავ, სულს მიშფოთებს, მიძახის!

**წუნარა.** წავიდეთ გენაცვალე, წავიდეთ (მიჰყავს).

**ძებნო** (დაღონებული) მოვდივარ, მაგრამ ვგრძნობ უკან გამომყვება... ვერ მოვისვენებ (წუნარა და ძებნო თვალს ეფარებიან. ფარდა ეშვება).

### მე-2 სურათი.

(სცენაზე სოფლის სანახიანი დუქანია წამოდგმული. მარცხნივ და მარჯვნივ ორი გზა ჩამოუდის. გზები დუქნის წინ მდებარე პატარა მოედანთან ერთდება და კლდე-ღრეებისაკენ მიდის. დუქნის უკან და გზების აქეთ-იქით სოფლის სახლებია ჩამწკრივებული. სახლე-ქვეშ სამი მოქეიფე ზის. სახლის წინ მიმოდიან მრავალი ხალხი თავი მოუყრია და ძებნოს მისჩერებია. ზოგს ბარი უჭირავს, ზოგს წერაქვი და ზოგს რკინის კეტი. ძებნოს თვალები ჩაღრმავებია და უცნაურად უელავს, ხელში ჩონგური უჭირავს. გვერდით წუნარა უდგას. ქალაქელნის ეწვევა: უნდა წაიყვანოს).

**წუნარა** (დაღონებული). წამო! ბუტულა მაინც არ გენანება? სულ შენ ხსენებაშია: მამაშენ სად არის დედიკოვო?.. სახლი დაგვიწყებია და მთელი დღე გარეთ დაეხეტები.

**ძებნო** (წუნარას ხელს იშორებს და წერაქვიანებს მიმართავს) თქვენ, მეგობრებო, წერაქვი რად გინდათ?

**ერთი წერაქვიანი.** კლდეს ვანგრევთ და გზებს ვათანასწორებთ.

**ძებნო** (ბარიანებს) თქვენ?.. რად გინდათ თქვენ ბარი?

**ერთი ბარიანი** (გაკვირვებული ასეთი კითხვით) როგორ თუ რად გვინდა? მიწას ვაბრუნებთ.

**ძებნო** (რკინის კეტიანებს რკინის კეტზე უთითებს) ეგ რაღად გინდათ?

**ერთი რკინის კეტიანი.** აი რად მინდა (აჰკრავს მოზრდილ სიპ ქვას და შუაზე გააპობს). უტეხ ქვას ვამსხვრევთ.

**ერთი მოქეიფე** (ძებნოს) დაუკარი რამე ე ჩანგურს. ტკბილად ულაპარაკებს მაგათ. სულ ერთია ვერას გაგიგებენ.

**ხალხიდან.** (ძებნოს) ვინა ხარ, რა სოფლელი ხარ ძმობილო?

**ხალხიდანვე.** გიჟი!

**ძებნო.** (წყნარად და წუნარას) მე, გიჟი!.. არა, არა, გიჟი არა ვარ! აი ეხლავე, რომ აქა ხართ, ვიცი რომ მუშაობიდან მოდიხართ, თქვენი ლაპარაკიც მესმის, სიტყვებს ვარჩევ, მაგრამ მე სხვასაც მესმის... აი მესმის რომ კვნესის. ღმერთო, რა ძალიან კვნესის! რა ძალიან კვნესის! გულს მისერავს!.. (პაუზა) ოოჰ! რატომ, რატომ არ შეიძლიან ალკანთოთ?..

**წუნარა.** (კანკალით) წავიდეთ, გენაცვალე, წავიდეთ! ვინ დაგიჯერებს?.. შენს წუნარას რათა ივიწყებ?

**ძებნო.** (ხალხს) იცით ვინ კვნესის? სხივი.

**ხალხში.** სხივი?

**ძებნო.** დიახ სხივი, იქნებ ფერი, მზეთუნახავი!.. ბალახს რომ ფეხი დაადგას აყვავდება. ქვეყანას რომ თვალი გადაავლოს აყვავილნარდება, ცას რომ შეხედოს ღრუბლები გაიფანტებიან და ადამიანს გულს ნათელი მოეფინება... ბოროტთ ძალთ ცხრაკლიტულში გამოუმწყვდევიათ. წავიდეთ!.. წავიდეთ ძირი გამოუთხაროთ, დავკრათ წერაქვი, რკინის კეტი და სულის შემხუთავი კედლები დედამიწასთან ვაგასწოროთ.

**ერთი მოქეიფე.** ეს კი ზღაპრები გეცოდნია, ძმობილო!

**მეორე მოქეიფე** (ამხანაგებს) სუ ერთი დე! (ძებნოს) ძმობილო, ღვინო მიირთვი! კარგს რამეს ამბობ, მომწონს...

**1-ლი მოქეიფე** (მეორეს ქუდს ცხვირზე ჩამოუწევს) შენმა მზემ ბევრი რამ გესმის!

**მე-3 მოქეიფე** (ძებნოს) იცი, ძმობილო, მე წამოგყვები (ბარბაცით ადგება და მიუახლოვდება) ხომ მოდგება ეს (თავის ხანჯალზე უთითებს).

**ძებნო.** ერთი!.. ხოლო ერთი! (უცბად საკრავს ხელს წამოავლებს, სიმებს ააწკრიალებს და გადათუთქული ამბობს):

სხივია მარე დღიანი
იძახის მანაღვლიანი:
ქვეყნა ქვედა ქვეული,
ყრუა არის ადამიანი.

(ხალხს ეს სიტყვები გულში სწვდება. ყველანი მდუმარებით თავსა ჰხრიან).

**მე-2 მოქეიფე.** მეც მოვდივარ (მივა და ძებნოს ახლოს დგება).

**ხალხი** (თითქოს გამოფხიზლებული) წავიდეთ! წავიდეთ!..

**ძებნო** (აღფრთოვანებული ამ ძახილით, წუნარას მანდილს მოხსნის, ჩანგურით ააფრიალებს და ნაღვლიან კილოს იცვლის, სიმღერა კილოს იძახის):

აბა, მომყევით, მეგობრებო!
ორბნო, არწივნო, შეომრებო!
მხარი მხარს მიეცით, შეუტიოთ,
მტერს ცხრაკლიტული შევუმტვრიოთ
— | რკინით
და სხივსა დატყვევებულს
ბორკილნი შევხსნათ გაწამებულს!

**ხალხი.** წავიდეთ! წავიდეთ!

(ძებნო წინ წარუძღვება და მიდიან. მოქეიფენი, პირველად რომ სურვილი გამოუცხადეს წასვლაზე, აღარ მისდევენ. ახლოს მდებარე სახლთან ჩერდებიან. შორიდან მოისმის ძებნოს სიტყვები:

გამოვიყვანოთ დედოფალი,
ქოშნი შევუმკოთ თვალმარგალი—
— | ლალით!
მოვკაზმოთ წნათი ნაზ-სოსანით,
დავაგვირგვინოთ მზეოსანი!)

**ერთი მოქეიფე.** შენ იძახე, იძახე! მე კი აქ დავიძინებ. ნურას უკაცრავად, თუ კი ვუთქვა და ვერ წამოგყვე (მიწვება სახლის კედელთან და იძინებს).

**მე-2 მოქეიფე.** დაიძინა აი!.. ძალიან დაღალეული ხარ შენმა მზემ!.. ძალიან კი წადგა ფეხი წინ დე! პირველად ეს აეკვეთა. კაცს ეგონებოდა პირველი ეს შეხვდება ცხრაკლიტულის გალავანზე (მიუწვება გვერდით და ამთქნარებს) მეც კი კაი შევსძლო ვარ! (მძინარეს) ჰმ! ნუ იძინებ! ხომ არაფერი გვპარამ (ამთქნარებს კიდევ) ეჰე! მეც მეძინება! სხივსას სიზმარში თუ გავათავისუფლებთ მე და ჩემი ამხანაგი (იძინებს, ფარდა ეშვება).

### მე-3 სურათი

(სცენაზე ცხრაკლიტულია. გამოჩნდება ძებნო, გვერდით ნაღვლიანად მზირალი წუნარა მისდევს, უკან, ხალხი).

**ერთი ხმა ხალხში.** აჰა! ესეც ცხრაკლიტული. ეს როგორ გაგვიძლებს?

**ყველანი.** ძირს დავცემთ! (ისმის ძლიერი კვნესა).

**მეორე ხმა.** რა რიგად კვნესის!

**მესამე ხმა.** თითქოს შემოჰბერო, ისე დამიწყო გულმა ლონება.

**მეოთხე ხმა.** მახვილივით ჩამესო გულში ეს კვნესა, მახვილივით! ძლივსღა ვიბრუნებ!

**ძებნო.** აბა დავკრათ! ნუღარ აგვიანებთ! წერაქვი, რკინის კეტი და ბარი არ დაიშუროთ!

**ხალხი.** დავანგრიოთ! დავანგრიოთ! ქვა ქვაზედაც აღარ დავსტოვოთ (მისცვივიან გალავანს. მაგრამ მწვეტებიან ჯავშანს რომ დაინახავენ გაოცებული ჩერდებიან).

**გალავნის შიგნიდან.** (ყინულივით ცივი ხმა) რა წერას ატანიხართ? გასწით აქედან, დაიკარგეთ! არ მიეკაროთ! (ხალხი უკან იხევს).

**ძებნო:** ხმა თუ გაშინებთ? ვაი სირცხვილო!

**ხალხი.** (ყოყმანით წინ იწევს და სუსტად ისმის) დავკრათ! დავაქციოთ!

(ძებნო გაჯავრებული ჩანგურს წუნარას გადასცემს, ახლო მდგომს წერაქვს გამოსტაცებს და ცხრაკლიტულის გალავნის კარებს მივარდება, მაგრამ მოულოდნელად ჯავშნის წანწამოწყებული მწვეტით სასიკვდილოთ დაჭრილი ძირს ეცემა. გალავანზე ბოროტნი ძალნი გამოდგებიან და ხარხარებენ. ხალხი შეშინებული გარბის. ბოროტნი ძალნი გალავანს ეფარებიან).

**წუნარა.** (მომაკვდავ ძებნოს) არ გამიგონე... რათ დაგვაობლე მე და ბუტულა?

**ძებნო.** (მისუსტებული) ეგ ჩანგური ბუტულას გადაეცი, როცა წამოიზრდება. მაგაში ჩაიქსოვის ჩემი ამბავი და ანდერძი (სულს განუტევებს. ღრმა მწუხარებით შეპყრობილი წუნარა ტირილს ვერ იკავებს, ატყდება ცახცახი და ჩანგური ხელიდან უვარდება. გამოჩნდებიან აჩრდილნი. წინ მოხუცის აჩრდილი მოუძღვის).

**მოხუცის აჩრდილი.** კიდევ ერთი ზედმეტი მსხვერპლი... სხივსა კი ისევ ბოროტნი ძალნი ჰყავს... მაგრამ იმედი რომ არა ჰქრება!

**აჩრდილნი ერთად.** მაგრამ იმედი რომ არა ჰქრება!

**წუნარა.** (ირკვევა. აჩრდილთ შორის ძებნოს აჩრდილს დაინახავს) ძებნო! ძებნო! შენი წუნარა... შენ წუნარას რატომ აღარ უცქერი.. (ძებნოს აჩრდილი ხმას არა სცემს. წუნარას თავში რაღაც გაუელვებს და განაგრძობს ლაპარაკს) ვგრძნობ რომ რაღაც კედელი აღიმართა ჩვენ შორის, მაგრამ დავანგრევ, გულს გავიგმირავ და შენთან გავჩნდები (დაეცემა მწვეტებიან ჯავშანს, წინ წაიწევს, მაგრამ ჩანგურს ფეხს რომ წამოჰკრავს ჩერდება) ბუტულა კი მავიწყდება მე უბედურისა. ვის ვუტოვებდი, ვისა?.. (დაეცემა ძებნოს გვამზე და მწარედ აქვითინდება. ფარდა ეშვება).

**ინ—ბანი.**

# კოტა აბაშიძის ხსოვნას

მშვიდობით, ჩემო კოტა!..

გულუბრყვილო ბავშვობის დროს შევხვდით ერთმანეთს და გულწრფელად დავმეგობრდით.

უანგარო იყო ჩვენი მაშინდელი მეგობრობა, უმანკო ჩვენი სიყვარული, უსაზღვრო ჩვენი პატივისცემა!

თვით პირველი ჩვენი დაახლოვება ბავშვურ სიწმიდის შარავანდედით იყო მოსილი.

მე ყვავ ძველი მოწაფე ვიყავი და ორი კლასით შენზე უფროსი, რომ პირველად გიმნაზიის პანსიონის საავადმყოფოში მოგაქციე ყურადღება.

შენ ახლად იყავ შემოსული პანსიონში და, მშობლიურ ზრუნვას მოკლებული, ვერ შერიგებოდი უხეშ ნასალდათარ ფერშალ-მოსამსახურეების ამარა ყოფნას და სწუხდი.

თვალცრემლიანი რომ დაგინახე, მივხვდი, რაც გტანჯავდა, და თანაგრძნობით გამოგელაპარაკე.

ეს იყო და ეს. პოეტისა არ იყოს, „გულმა გული სცნო და ლონემ ლონე" და საავადმყოფოდან, თითქო თან შეზრდილ, ამხანაგ-მეგობრებად გამოვედით.

გავიდა ხანი.

დავჭაბუკდით და სიჭაბუკემ კიდევ უფრო გააძლიერა ჩვენი მეგობრობა.

ჩვენმა დაახლოვებამ მიაღწია უმწვერვალეს წერტილს, მაგრამ მეგობრული კავშირი თურმე მხოლოდ მანამდისაა მტკიცე, ვიდრე სრულიად თავისუფალია, დამოუკიდებელი, თვითმყოფი.

ჩვენი მეგობრობაც, როგორც კი ეს თვითმყოფობა დაჰკარგა, წამსვე გაიბზარა და ბოლოს აზრთა სხვა და სხვაობის გამო სულაც დაიმსხვრა...

ისე მოსჩანდა, თითქოს ჩვენში, არამც თუ მეგობრობის, უბრალო ნაცნობობის ნატამალიც აღარ უნდა დარჩენილიყო, მაგრამ „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაიცემისო", ამბობს მგოსანი და ჩვენი მეგობრობის გრძნობაც სამუდამოთ ვერ აღმოიფხვრებოდა ჩვენი გულიდან.

აგერ, როცა, მოვეშურებოდი თბილისისაკენ, ძალიან მსურდა, რომ მენახე, მაგრამ [illegible], რომ, ვიდრე სული გიდგა, ვერც კი მოვედი შენთან.

შენი ნახვა შემეძლო მხოლოდ შენს ახლანდელ ახალ ამხანაგ-მეგობრებს და ხომ მათში არ ვერეოდი.

ცოცხალი ვეღარ განახე, თუმცა სულით ხშირად ვიყავი შენთან.

თვით იმ საღამოსაც, როცა შენ თურმე სულსა ლევდი, მე ჩემ ოთახში ვიყავი ჩაკეტილი და თვალცრემლიანი შენზე ვფიქრობდი.

უეჭველია, უკანასკნელ წამებში, როცა წარმოგიდგა მთელი შენი წარსული და ბავშვობისა და სიჭაბუკის დროც მოიგონე, მეც მოგაგონდი.

მე ვიგრძენი ეს და როცა შენ სიკვდილის წინად მე მიგონებდი, სულით მე შენთან ვიყავი.

დღეს შენ ცოცხალი აღარა ხარ და მეც, როგორც სხვას ყველას, ნაცნობსა, თუ უცნობს, მოყვარესა, თუ მტერს, გულწრფელ მეგობარსა, თუ მხოლოდ ფარისეველს, ნება მაქვს მოვიდე და გნახო, მაგრამ მე თვითონ აღარ შემიძლიან ახლა შენთან მოსვლა.

ან-კი რისთვის უნდა მოვიდე?...

რომ გიტირო?.. მაგრამ ჩემგან შენი სამარადო ტირილი ხომ უმეტესობას ფარისევლობა ეგონება მხოლოდ!..

რომ ვანუგეშო შენი ჭირისუფლები? მაგრამ მე ხომ შენ ცოლშვილს ვერც-კი ვიცნობ და უბედურ შენი დედის ნუგეშის ცემა კი შეუძლებელია!.

რომ გავამრავლო ერთით კიდევ შენ პატივისმცემელთა რიცხვი?.. მაგრამ ჯერ ერთი—ამ რიცხვს გამრავლება აღარ ესაჭიროება, ისე დიდი იქნება, და მეორე—ჩემი მხოლოდ შენ უბრალო პატივისმცემელთა რიცხვში გარევა, ხშირად რომ მარტო გარეგნულ ვალის მოსახდელად მიდიან მიცვალებულთან, ვერც-კი წარმომიდგენია...

რომ სამუდამო მოსაგონებლად გულს ჩავიმარხო შენი ახლანდელი სახე?. მაგრამ, შეიძლება, ვინც უკანასკნელ ავადმყოფობის დროს გარს გეხვია და ხედავდა შენს წამებს, მათთვის უძვირფასი იყოს შენი სიკვდილისაგან მარადიულ სიმშვიდით აღბეჭდილ სახის დახსოვნება, ვიდრე სიცოცხლით განაწამებისა, ჩემთვის-კი ეს სულაც არ არის სასურველი, რადგან ჩემს ხსოვნაში მხოლოდ შენი ბავშვობისა და სიჭაბუკის დროის მშვენიერი სახეა აღბეჭდილი, აი, თუნდ ის, მე და შენ და ჩვენი ნიკო*) ერთადა ვართ გადაღებულნი, და, დაე, ეს სამუდამოდაც ასე დარჩეს!..

მე მოვალ შენთან, მაგრამ მოვალ შენს საფლავზე, როცა მარტოდ დარჩები და ხშირად, ხშირადაც მოვალ, ახლა-კი, მაპატიე, რომ შორიდან უნდა გამოგესალმო მხოლოდ.

მშვიდობით, ჩემო კიტა!..

**დუტუ მეგრელი**

---

*) ნიკო თავდგირიძე.

ავტ.

# კორესპონდენცია

## ძარცვა-გლეჯა რაჭაში

„ნაქერალაზე" ძარცვა-გლეჯა. მთელ ჩვენს მხარეში შიმშილი მძვინვარებს. შიმშილის ასაცილებლად ბევრი რამ ითქმულა, ბევრი დაწერილა, მაგრამ ამით ბეჩავ საზოგადოებას არაფერი შველებია. ერთად ერთი იმედი გვქონდა ამბროლაურის სარაიონო სასურსათო კომიტეტის, რომელმაც თავს იდვა ეს მწვავე საკითხი, მაგრამ ენკენისთვეში დაპირებული ქრისტეშობისთვის პირველ რიცხვებში ძლივს შეასრულა და ს. ტყიბულის გზით საზოგადოებას სიმინდი მოუტანა. თუ რამდენად საძნელო საქმეა ზამთრობით ს. ტყიბულიდან „ნაქერალის" ქედით რაჭაში მგზავრობა და სურსათის გადატანა, ამის წარმოდგენა მკითხველისთვის მიმინდვია. მიუხედავად მკაცრი ყინვა-სიცივეებისა საზოგადოება იძულებული შეიქნა მგზავრობას შესდგომოდა, მაგრამ დახეთ უბედურებას: გაყინული ნაქერალის ქედით მიმავალნი ს. ზნაკვის მცხოვრებნი თავისი ურმებით სხვებთან ერთად ათ ქრისტეშობისთვეს შეჩერებულ იქმნენ ავაზაკების მიერ, რომელთაც ბრძანების შემდეგ „ხელები ზევით" თვალცრემლიან გაყინულებს შეუბრალებლად დაუწყეს ძარცვა. დაახლოვებით გაუძარცვავთ 60-ზე მეტი პირი. ს. ზნაკვის მცხოვრებთ ანთიმოზ მეურხესიძეს წაართვეს 300 მ., მისთვის ტანისამოსიც კი არ შეურჩენიათ, დანებით შემოეჭრათ და ისე გამოუშვათ. სტეფანე მეურხესიძეს წაართვეს 600 მ., პავლე მეურხესიძეს—150 მ., მიხეილ მეურხესიძეს—250 მ. სხვა მგზავრებისათვის წაურთმევიათ რამოდენიმე ათასი მანეთი, დაახლოვებით 15 ათას მანეთამდე გაუტაცნიათ. ეს ფულები სიმინდისათვის ჰქონდათ საცოდავებს წაღებული. ვერ წარმოიდგენია კაცს რამდენ უბედურებას უნდა ებრძოლო, სიმშილს თუ ყაჩაღობას? ბევრჯელ აგვნებულ-ატირებულან რაჭველები ნაქერალის მკაცრი ბუნების გამო თუ ავაზაკების წყალობით—მაგრამ ეხლანდელი კვნესა-გოდება გაძარცულთა მეტის-მეტად მწვავე და აუტანელია. თუ დროზე აღაგმულნი არ იქმნენ ეს ყაჩაღნი, მომავალში ჩვენ მაგათ მეტ იერიშებს უნდა მოველოდეთ. ნაქერალის გზა ერთად ერთი გზაა, რომელიც რაჭველობა ვერ შეელევა. თუ ამ გზაზე სიარულს ჩვენი ხალხი უზრუნველყოფილი არ იქნა ყაჩაღთა და ძარცველთა თავდასხმისაგან, ცხოვრება მეტის მეტად გაჭირდება. მილიციონერთა „პოსტი" „ხარის თვალზე" დიდ სამსახურს უწევდა საზოგადოებას. მილიციონერები ყოველთვის თუ არა—დრო გამოშვებით მაინც თავის გაყოლ-გამოყოლით უზრუნველყოფდა საზოგადოებას საფრთხისაგან. დიდად დაფასებული იქნება ამბროლაურის რაიონის კომისრის ქვიტაიშვილის მიერ, თუ ხსენებული პირი მიიღებს თავის თავზე შრომას და ამის შესახებ სათანადო მოხსენებას წარადგენს რაჭის სამაზრო კომისარიატში. უკანასკნელი ამბების გამო ხალხი დაშინებულია და „ნაქერალით" ვერ ჰბედავს მგზავრობას. მომვლელი და პატრონი გვჭირდება, თორემ შინ შიმშილით შეწუხებული და გარედ ნაქერალის ქედით ავაზაკებით გარს შემორტყმული ჩვენი საზოგადოება სულ უპატრონოდ ამოწყდება..

**გერონტი მურუსიძე**

## ეროვნულ-დემოკრატების საღამო ქ. თელავში.

როგორც ყოველი სხვა პროვინცია, თელავიც ღარიბია შინაარსიან და ხელოვნურ გასართობებით. მართალია, ხშირად იმართება წარმოდგენები სხვა და სხვა საქველმოქმედო მიზნით, მაგრამ მათ თავიანთ შინაარსით ნაკლებ აქვთ კავშირი თეატრთან და ხელოვნებასთან. პიესის გარჩევა, როლების უცოდინრობა,—აი საერთო დახასიათება აქაური წარმოდგენებისა.

სულ სხვა იყო 12 ქრისტეშობისთვეს გამართული საღამო ადგილობრივ ეროვნულ-დემოკრატიულ ბიუროს სასარგებლოდ, სადაც ესთეტიურ-მხატვრული მხარე ღირსეულად იყო დაცული. ითამაშეს ცაგარლის „ციმბირელი". პიესას ხელმძღვანელობდა ქართულ სცენის მუყაითი მუშაკი კოტე ჭელიძე. მისი გამოცდილი ხელის გამო ამ დღეს თელავის სცენის მოყვარეებმა თავის თავს გადააჭარბეს. თამაშობდნენ შეგნებულად, გაბედულად. გარდა რეჟისორობისა, კოტე ჭელიძემ ბევრი შეჰმატა წარმოდგენას, როგორც მსახიობმა. მისი გულწრფელი და მოხდენილი თამაში იზიდავდა საზოგადოების ყურადღებას და დიდს შთაბეჭდილებას სტოვებდა.

თუ ბ. ჭელიძე საუკეთესოდ გამოხატავდა პიესის დრამატიულ მომენტს, დ. აწყურელი, არა ნაკლებ ზედმიწევნით ანსახიერებდა დარდიმანდ-მხიარულ პეტოს. კომიკურ როლის გაშარჟება მეტად ადვილია და მას ასცდება მხოლოდ ნამდვილი არტისტი. ასეთი იყო სწორედ დ. აწყურელი, რომელმაც თავის ლაღი თამაშით ბევრი აცინა დამსწრე საზოგადოება.

აღსანიშნავია აგრეთვე ბ. ახოსპირელი მაზუთიანის როლში. დარბაზმა მსურველთა ნახევარიც ვერ დაიტია. მიუხედავათ საშინელ სივიწროვისა წესიერება სამაგალითოდ იყო.

მხატვრულ წარმოდგენის გარდა საკრებულოს ერთ-ერთ ოთახში გამართული იყო ლამაზი საჩაიე ხალებით აზიურ სტილზედ. საღამოს ეტყობოდა რომ მის მომწყობს ქ-ნ კლიმიაშვილს ბევრი ენერგია დაეხარჯა, რომ ყოველისფერი ლამაზიანად და გემოვნებით ყოფილიყო, რათა თვითეული დამსწრე სავსებით კმაყოფილი და ნასიამოვნები დაბრუნებულიყო სახლში. ასეც მოხდა. შრომა და ამაგი პატივცემულ დიასახლისისა ღირსეულად დაფასდა როგორც ზნეობრივად, ისე ნივთიერად. მიუხედავად დიდი ხარჯებისა წმინდა შემოსავალი 1,800 აღწევს.

**დამსწრე.**

## წერილები რედ. მიმართ

საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის თელავის სამაზრო კომიტეტი დიდ მადლობას უცხადებს ქვემორე მოყვანილ პირთ, რომელთაც 1 გიორგობისთვის საზოგადო წევრთა კრებაზედ შემოსწირეს თავიანთი წვლილი პარტიის ფონდის გასაძლიერებლად.

ა. დოლაბერიძემ 150 მან., სულხანიშვილმა 50 მან., ნ. გურჯულაძემ 50 მ., ო. ბეწვკლიშვილმა 25 მ., ნ. კლიმიაშვილისა 20 მ., ა. მაყაშვილმა 20 მან., ნ. ევსტაფიევსამ 30 მან., ი. რჩეულიშვილმა 25 მან., ი. დათუნაშვილმა 40 მან., გ. ჩხუბიანაშვილმა 50 მან., ს. ალადაშვილმა 10 მან., მ. ერისთავისამ 10 მან., ი. რამაზაშვილმა 3 მ., გ. ნაიბიშვილმა 3 მან., დ. რჩეულიშვილისამ 300 მან., ნ. მაყაშვილმა 90 მან., გ. კიკნაძემ 25 მან., დ. კურდღელაშვილისამ 24 მან., დ. პეტრიაშვილმა 3 მან., ი. ივანიძემ 25 მან., ქ. ჭელიძემ 3 მან., თ. ივანიძემ 10 მ., X— 3 მან., ლ. მგალობლიშვილმა 10 მან., როსტომაშვილიანთ ოჯახმა 20 მან., გ. მიჩნაშვილმა 10 მან., ს. ჭავჭავაძემ 40 მან., მ. თარხნიშვილმა 20 მან., ქ. მაყაშვილმა 5 მან., ნ. ჭავჭავაძისამ 10 მან., ე. რუსიშვილისამ 1 მ. მ. ერისთავმა 5 მან. მ. კიკნაძისამ 25 მან., რ. რუსიშვილმა 10 მან., ნ. კიკვიძისამ 20 მან., ზ. ჭავჭავაძემ 5 მან., ნ. ჭავჭავაძემ 1 მან. 50 კაპ., ა. გოგნიაშვილმა 50 მან., ი. მექაშვილმა 25 მან. სულ 1,146 მან. 15 კ.

საქართველოს ეროვ.-დემოკრ. პარტიის თელავის სამაზრო კომიტეტი.

რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი

# კალენდარი

### კვირა, ქრისტეშობისთვის 24

კვირა 31. ხმა 5.

მე-40 დღე ქრ. შობის მარხვისა.

**ქართვ.** წმ. ღ. მოწ. ევგენისა.

**კათოლ.** ადამ და ევაი.

**მაჰმად.** ექ-შამბე 22 რ. რებიულევველ 1336 წ. ჰიჯრისა.

**ებრაელ.** ივრიშონ 23 რ. ტებეთი 5678 წ. ქვ. შექმ.

### ორშაბათი, ქრისტეშობისთვის 25

**ქართვ.** † შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

**კათოლ.** † შობა მხსნელისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

**სომეხ.** წმ. სტეფანე პირველ მოწამისა და მარტვილოსისა.

**მაჰმად.** დუ-შამბე 23 რ. რებიულევველ 1336 წ. ჰიჯრისა.

**ებრაელ.** იომშენი 25 რ. ტებეთი 5678 წ. ქვეყნ. შექმ.

### სამშაბათი, ქრისტეშობისთვის 26

**ქართვ.** † კრება ყოვლად წმ. ღვთისმშობლისა და ხსენება წმ. მღვდელ-მოწამისა ევთიმი სარდლის ეპისკოპოზისა.

**კათოლ.** მე-2 დღე შობ. სტეფანე დიაკვნ.

**სომეხ.** წმ. მოციქულთა, პეტრე, პავლესი.

**მაჰმად.** სე-შამბე 24 რ. რებიულევველ 1336 წ. ჰიჯრისა.

**ებრაელ.** იომშლიში 25 რ. ტებეთი 5678 წ. ქვ. შექმ.

### ოთხშაბათი. ქრისტეშობისთვის 27

**ქართვ.** შობის მესამე დღე წმ. მოც. პირველ-მოწ. და მთავარ დიაკვნისა სტეფანესი, ღირს. მამ. ჩვენისა და აღმსარებელისა თეოდორე გამომწერლისა და ძმისა თეოფანე გალობათა მთქმელისა.

**კათოლ.** † იოანე მახარობ. და მოც.

**სომეხ.** ნახატონაქი.

**მაჰმად.** ჩარ-შამბე 25 რ. რებიულევველ 1336 წ. ჰიჯრისა.

**ებრაელ.** იომრევიყი 26 რ. ტებეთი 5678 წ. ქვ. შექმ.

### ხუთშაბათი, ქრისტეშობისთვის 28

**ქართვ.** წმ. ოცთა ბევრთა მოწამეთა რომელნი ნიკომიდიას დაიწვნენ.

**კათოლ.** წმ. ჩვილთა წამებულთა.

**სომეხ.** წმ. იაკობ მოციქულ და იოანე მახარობელისა.

**მაჰმად.** პიანჯ-შამბე 16 რ. რებიულევველ 1336. წ. ჰიჯრისა.

**ებრაელ.** იომხამიში 27 რ. ტებეთი 5678 წ. ქვ. შექმ.

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 5, | 11,32 დილ. |
| | სამგზ. | № 9, | 11.28 დილ. |
| ხაშურ-ბორჯომის. | | № 19, | 3.17 დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.19 დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.51 დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.46 საღ. |
| საქარასკენ | სამგზ. | № 4-8, | 12.15 საღ. |
| „ | | № 61. | 8,18 დილით (მხოლოდ კვირა-უქმით ქსანკამდე). |
| „ | | № 63.4, | 48 ნაშუადღევზე მცხეთამდე. |

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 8.38 დილ. |
| „ | საფ. | № 6, | 7,41 საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.57 დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 9.50 საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 8, | 10 26 დილ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10 20 საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 7. 58 დილ. |

წარმოდგენა № 14.

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის
სახალხო სახლი
სახ. სახ. ამხ. ქართვ. წარ. მმართვ. წრე.
ოთხშაბათს, 27 დეკემბერს 1917 წ. წარმოდგენილი იქნება
წრის ფონდის გასაძლიერებლად

I
მეორედ ქართულ სცენაზედ
ლაქია
ტრაგ.-კომედია 3 მოქ. ნაროდინისა
თარგ. კ. ხახანაშვილისა.

II
ჭკუისა მჭირს
კომ. 1 მოქ. ა. ცაგარლისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნ თ. გოგოლაშვილი, ელ. იანქოშვილი, ნ. ნინოშვილი, ნ. თორიძე, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა. ბ. ბ. ნ. გოცირიძე, ი. მინდიაშვილი, ალ. მეტრეველი, ა. კაციაშვილი, ა. თავდგირიძე, ნ. ჭანკვეტაძე და მამაჯანოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათ. ✦ ადგილების ფასი 4 მან. 70 კ-დე. ბილეთების კასა ღიაა ყოველ დღე დილის 12—2-მდე და საღამოს 6—8 ს.
შემდეგი წარმოდგენა 2 იანვარს.
რეჟ. ქ. შათირიშვილი. რეჟ. თანაშ. ალ. ბადრიძე.
2—866—1 ქარ. სახ. წარმ. წრის ადმინისტრაცია.

ამიერ-კავკასიის ბანკში
(თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5)
იყიდება
ბათუმში დაარსებულ ქართულ ნავთის სამრეწველო-სავაჭრო საზოგადოების აქციები 1000, 3000, 5000, 10000 და 25,000 მანეთიანი.
დაწვრილებითი ცნობები მიიღება: თბილისში, იმავე ბანკში, ბაქოში—საზოგადოების კანტორაში ვორონცოვის ქ. № 4. თ—766—47

სამკურნალო კაბინეტი
პ. ს.
ფონ-ირტელისა
ქირურგიულ-ვენერიულ და კანის ავადმყოფობათა სპეციალი სამკურნალო წამლობა ელექტრონით და ოპერაციები, წამლობა „914"-ით და „606"-ით. ავადმყოფთა მიღება: 9—12 საათამდე დილით და $4\frac{1}{2}$—8 საღამოთი. მიხაილოვის პრ. პროსპექტის კუთხე № 128, კრილოვის ქუჩა № 1. ოვანესოვის სახლი. მეორე შესავალი კრილოვის ქუჩით.
თ—920—1

ექიმის თანაშემწე
ვანო სამთაშვილი
დებულობს ავადმყოფებს ხად 4—6 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებით, ნერვებით ავადმყ. სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ. მისამართი: ფესანოვის შესახ. № 3 (1-ლი სამილიციო ნაწილი).
57—748—თ.

კბილის ექიმმა
მამულაიშვილი-ხოდნევისამ
განაახლა
ავადმყოფების მიღება.
10—1 დილით, 5—6 საღამოს, გარდა კვირისა.
ოლდის ქუჩა, № 22.
25—823—39

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

დოქტორი მ. კაიანისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.
ტელეფ. № 17—21.

ექიმი
დიმიტრი (რამინ) იოსების ძე
ჟორდანია
სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა.
გორის ქუჩა № 6, დიდუბე.
თ—879—17

ექიმი
ა. დ. კეკელია
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებათ ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 5-დან 7 საათამდე.
გუდოვიჩის ქუჩა № 41
ტელეფონის № 14—09

მე-2 წ. მიიღება ხელის მოწერა 1918 წ. მე-2 წ.
სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ
„თავისუფლება"-ზე
რომელიც გამოდის ორ კვირაში ერთხელ რომანოზ სპ. ფანცხავას რედაქტორობით. ჟურნალში ითანამშრომლებენ საუკეთესო სალიტერატურო ძალები (წელიწადი მეორე). წლიურათ ჟურნალი ღირს 12 მან., ნახევარი წლით 7 მან., სამი თვით 4 მან., თვიურად 1 მ. 50 კაპ. წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეუძლიათ. ქუთაისში ხელის მოწერა და ნომრების ყიდვაც შეიძლება მხოლოდ რედაქციის კანტორაში (სტამბა „ძმობა") და ისიდორე კვიცარიძესთან. თბილისში, კავკასიის სამრეწველო სკოლის მოწაფეებთან, ტერენტი გიორგის ძე სვანიძესთან და შალვა იასონის ძე მეგრელიშვილთან. ჭიათურაში—პლატონ პავლეს ძე კილასონიასთან, სამტრედიაში—მინა ილიას ძე კოპალეიშვილთან, ფოთში—ნესტორ ბესარიონის ძე დოლიძესთან, ბათუმში—„განთიადის" კანტორაში და მოსკოვში—სტ. შალვა დიმიტრის ძე გომართელთან.
ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ. Роману Спиридоновичу Панцхава.
3—3)

ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის უწყების ქვეშ მყოფი კომერციულ
ცოდნათა კურსები
ტ. მ. ფილოიანისა
ორთავე პირთა სქესისთვის
(თბილისი, მიხაილოვის პროსპექტი № 24. ტელეფონის № 9—76.
თხოვნების მიღება საღამოს 4-დან 8 საათამდე.
სწავლის დაწყება იანვრის 15-დან. პროგრამები და წესები მსურველთ გაეგზავნებათ. კურსების კანცელარიაში მათი უფასოდ მიღებაც შეიძლება.
(20—918—2)

საავადმყოფო
სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოსიარულე ავადმყოფებისთვის
დიდი განქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 481.
ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.
ზედგენიძე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. დებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
ბენაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ახპიტოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფარადოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონსე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველდღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და სქესობრივი, ყოველდღე 2—3 საათამდე.
იოსელიანი—ქალთა და სქესობრივი ავად. დებულობს ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველდღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაბათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტრონცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე.
ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევასა—კბილის ექიმი ყოველდღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვასა—კბილის ექიმი დებულობს ყოველდღე 10—12 საათამდე.
100—920—52

სტამბა „[illegible]" [illegible] [illegible] [illegible] №4